

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ვეულბროი სტრიტში „პეტრიტი“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.
ხელის-მოწერა და დასაბუთი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში
ნქის ქ., № 27, წერა-კითხვის განყოფილებაში. საზოგადოებრივი კანცელარიაში და წიგ. გამოცემა. ქართულთა ამხანაგო-ბის კოლეგიაში (ქვეშეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოწერელი წერილები არ დაბეჭდვება.—დასაბუთი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გა-
მოგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა,
11 საათიდან 1-ლ საათამდე.
კადავნიის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტორუხის სახლში, № 27.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моამბე“. ტელეფონი № 372.

ქართული თეატრი

ს. უ. თ. ა. ბ. ა. თ. ს. 8 თ. ე. ბ. რ. გ. ა. ლ. ს. 1901 წ.

გაეფიქსირა ვლ. ს. ალექსი-მანსიონისა

ქართული დრამატული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

მ. რ. ბ. მ. რ. ბ.

ისტორიული დრამა 3 მოქ. გურულების ცხოვრებიდან ვ. გულისა.

დატრიალდა ჯარა

კომედია 1 მოქ. გად. კ. ყიფიანის-მერ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქანნი გარგარეთელი, საფაროვი-აბაშიძისა, გაბუნია-ცაგარისა, და მდივანი: ბ. ნ. ნ. ვლ. ალექსი-მანსიონი, ვ. გუნი, გელეგანოვი, შათირიშვილი, კან-დელოკი, ურუშაძე, მირიანოვი, იმედაშვილი და სხ.

დასაწყისი 8 საათზედ. რეჟისორი ვ. გუნი.

ანონსი: შაბათს, 10 თებერვალს, უკანასკნელი წარმოდგენა ვ. გუნიას საბუნებისო-დ. მესხის მონაწილეობით. წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი პიესა „ცნობის საი-ღუშლო“ და „არც ამათ, არც იმით“.

ტფილისის გერმანული სამკურნალო

მკურნალის მიხედვით გადამამუშავებისა.

უკანასკნელს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმე-ების გარდა,

და იღებენ:

- გ. ი. გიგინიძე — კბილის სნეულებანი 8 — 10 სთამდე.
- მიხეილ ს. გელეგანოვი — ნერვებისა და წმელის ელექტრონიტი — 9 — 10 ს.
- ნ. ს. მუღინი — გულისა, გულისა და ცხვირი-ს — 10 — 11 სთამდე.
- ი. ბ. ახალშენი — გულისა სნეულებანი — 10 — 2 სთამდე.
- ა. ნ. შატალაძე — თულისა 11 — 12 ს.
- ქიმიკი პ. ს. ბაქრაძე-ბაგუშვილი 11 — 12 ს.
- დ. ა. გელეგანოვი — ნერვებისა და შინა-განი — 12 — 1 სთამდე.
- ს. მ. მარკუშინი — სდასტარა — 12 1/2 სთამდე, სმამათობით 3 — 4 სთამდე.

ფელეკონი

ფრანგთა გადაყენება*)

მ. ი. გ. ი.

ამ უკანასკნელ ხანებში თვალსაჩინო მოვლენაა შენიშნული: საფრანგეთის სოფ-ლებიდან ხალხი ქალაქებსა და დიდს სამ-რეწველო ცენტრებს ეტანება. ასე რომ სოფელი დღითიდღე ცარიელდება, და ამავე დროს ეს ნაილი სოფლისა ქა-ლაქს ემატება. ამ 50 წლის წინად საფ-რანგეთის მცხოვრებთა 3/4 სოფლად იყო დამკვიდრებული და მიწას ჩაჰყრიტებდა, ხოლო დანარჩენ 1/4-ს მოქალაქენი შეადგენ-დნენ. დღეს კი სოფლები მთელის საფრან-გეთის მცხოვრებთა 3/4-ს-ს, ანუ 90% შე-ადგენს. 1846—1896 წლებში სოფელს 3,261,580 სული დააკლდა და ქალაქს 1,379,069 მოემატა.

ამ უკანასკნელ 30 წლის განმავლობაში განსაკუთრებით საფრანგეთის დედა-ქალაქი პარიზი ნათესა ყველაზე მეტად სოფლებით. 1891 წელს მომხდარ მცხოვრებთა აღწერის თანახმად სენის დეპარტამენტში (საცა პა-რიზი) ადგილობრივი მკვიდრი 1,198,712

ყურნალ-გაზეთებიდან

ღონდადანი იქნება: დღეს ცნობები მოვიდა, რომ კიტენური შეშინდა, ბურები ნა-ტალს არ შეესივნენ, და 7 რაზმი გაგზავნა გენერალ ბოტას წინააღმდეგ. მოუხდათ ბრძო-ლა ბოტასთან, ვერც ერთმა მხარემ ვერ გაიმარ-ჯვა. ბოტამ დასაფლავისკენ მიიწია და ტყვე ინგლისელები თან წაიყვანა. ამასთანავე ერთად 7 ინგლისელი რაზმი დევეტის წინააღმდეგ გა-მართა. 1 რაზმი ვერ იშოვნა, მეშვიდე კი თავის სუბელდურად შეჭნა დევეტს; დევეტმა დაამარცხა ის და ერთი ზარბაზნიც წაართვა. ამ რაზმმა უკან დაიწია, ინგლისელები ისე მი-ეგებნენ, თითქო იმით გაეშურებოდნენ. ბურები მაინც გადასულან ნატალში, სადაც უკვე დაუშე-ნებიათ 4 მატარებელი რკინის გზის იარაღით, სიმსუდრე და საგება სურსათით.

როგორც ვიცით, ამას წინად ბურებმა ძლიერ გაიმარჯვეს მოდერნიზაციის და ბე-რი ინგლისელი ტყვედ წაიყვანეს. ესაა იუ-რების, რომ ტყვედ წაიყვანების რიცხვი 200 უდრის.

ერთი გერმანული გაზეთის კორესპონდენ-ტი შემდეგ მოგვითხრობს ინგლისელების ქტე-ვის შესახებ ტრანსვალში:

ბურებმა რკინის გზა დაანერგეს გიდე-ბურეს და სტანდერტონს შუა. ინგლისელებს ჯერჯერ მოუკლათ და 15 ფერმა დაწვეს.

ერთი ფერმის დაწვის დროს დაესწრო ინგ-ლისელი გენერალი რენდლი. ფერმის პატრონმა ბურის დედა-კაცმა სთხოვა გენერალს, რომ ნება მიეცა სხლიდან რამდენიმე ძირფასი ნივთი გა-მოეტანა. გენერალმა ნება მისცა. დედა-კაცი რამდენჯერმე შევიდა სხლში და რამდენიმე ძირფასი ნივთი გამოიტანა; გენერალმა უცებ აუკრძალა — აღარ შეხედო. დედა-კაცი შეეშინდა გენერალს:

ერთხელ კიდევ შევალა.

მაგრამ გენერალი გაქვავდა და არ მისცა ნე-

ბა. მაშინ დედა-კაცი ჯერჯერ მოვიდა, მივიდა გენერალს და ორი სილა გაართვა.

გენერალი ჯერ გაშტრდა ამ მოულოდნელის საქციელისა და შერე ბრძანა, რომ უყვალა ის ნივთები, რომელიც დედა-კაცი გადართნა, ისეც ცეცხლში გადაეყარათ.

ამერკაში, ჩიკაგოში, 5 თებერვალს (ახა-ლი სტილი) ბურების შეგობებმა დიდი კრე-ბა მოაწყვეს. სმარტ-აფრთხიდან ესლა-ხან დაბრუნებულმა ვიდეკლამა ცხოვრება უამბო კრე-ბის შესახებ იმისა, თუ რაწინად სმარტ-აფრთხი და ახრევენ ბურების სახლისა და ფერმების ინგლისელი ჯარები და რა ბრძოლა და უდი-ვრად ექვეყნა ბურების ქალისა და ბავშვების. შემდეგ ზრეზადენტ ტეინის ნათესავმა ვესელ-სმა წარმოთქვა გიგლი სიტუა. მან განაცხადა, რომ ბურებს სწამთ თავიანთი საბოლოო გამარ-ჯვება, სწამთ, რომ იმათი ახალ-მართალი საქ-მე უსათუოთ გამარჯვების.

გერმანული გაზეთი „ცენტურ-ში“ ცხარე წერილია დაბეჭდილი წინააღმდეგ იმპერა-ტორ ვიდეკლამის ინგლისთან დამკვიდრებისა.

გერმანიის ერთ ვერ გაუგია, — ამბობს გა-ზეთი, — თუ იმპერატორმა როგორ მისწერა ზი-რად ლორდ რობერტს დეშეშ, დანიშნა ის გერმანიის ჯარის ფელდ-მარშალ და ამწინად ასეთი სოცარი პატივი სცა. ვერ გაუგია ისიც, თუ რაწინად უმტკიცებს იმპერატორი თავის მეგობრობას ინგლისის ოფიცერებს, როდესაც ჩვენ პატრონებულს იმპერატორს თავისივე სა-კუთარი ზოგის ოფიცერმა ინგლისში ისეთი შეურაცხყოფა მიადგინა. ეს ჩვენი შენიშვნა უ-რადღების ღირსია, რადგან მთელი გერმანიის ერი ამავე აზრისაა. ჩვენი ერი არასოდეს არ მიეშინება თავისუფლების დამცაველ ინგ-ლისს.

არც თუ ინგლისში მოსწონს ვიდეკლამ იმპერატორ ვიდეკლამთან დამკვიდრება. ძალიან ბევრი ინგლისური გაზეთი ძლიერ წინააღმდე-გია როგორც ამ მეგობრობის, ისე გერმანიის-თან კავშირის შეკრების. აი რას ამბობს ამის შესახებ ლონდონური გაზეთი „კონტინენტ“:

*) იხ. „ცნობის ფურც.“ № 1370.

ინგლისის მოვალეობა და სარგებლობა მოითხოვს, რომ ის მოერიდოს ევროპის უფრო სხვადასხვა კავშირს. კავშირი გერმანიასთან დაარდევს ამ დედა-პარს და ამ დარდევით ინგლისი გერმანიის მოთხოვნებს. ჩვენ დღეს პარტიის ვერგით გერმანიის კრის შესახებ თვითნებურად; ჩვენ აღიარებთ რამდენიმე მხრივად იმის სიმართლეს, რომელიც, რამდენიმე წინ-სწავლად მრეწველობის გზაზე. მაგრამ ჩვენ, გარდა გერმანიის, დანარჩენ ევროპასთან დიდი საქმეები გვაქვს და მოვალეობა ვართ მივადგომ მსხვერპლთაში უფრო ჩვენი ინტერესები. ერთი სიტყვით, ჩვენ არ შეგვიძლიან კავშირით შევედგეთ გერმანიას. მეტად რისკით კავშირით, რომელიც სხვა ქვეყნების წინააღმდეგ იქმნება მიმართული; არც შეგვიძლიან, საზოგადოდ, რაიმე სხვა კავშირის შეგვრა, გარდა დროებითი კავშირისა. სხვათაგან რომ მოგვქცეთ, ჩვენ უსათუოდ სახიფათო საქმეებში გავხდებით. ესევე ითქმის გერმანიისადმი. მოვალეობა იმ კავშირებში, რომ იმპერატორი ზრდილობიანად მოქცეს ჩვენს ქვეყანას, ამ კავშირებშიც კი გერმანიას დიდი უპასუხოება გამოიწვია, ხოლო კავშირი ინგლისთან გერმანიას ასტრის მტრულ გრძნობებს ქარბნახს. იქნება ესევე მტრულად გერმანიისადმი დროებითი იყოს, მაგრამ სანამ არ ანსებობს, უარობა იქნება, რომ ის უფრო გავაუმჯობესოთ. გარდა სხვათა კავშირისა, გერმანიის მოვალეობას შეუძლიან მოვალეობა ერთი მიმართულება იქნება, — ეს არის მეგობრობა რუსეთთან. ამ მეგობრობას მისდევნენ იმპერატორი ვილჰელმი I და ბისმარკი; აქამდე ვილჰელმი II-მ მტკიცედ იცავდა ამ მეგობრობას. გერმანიას არც შეუძლიან, რომ უდალტოს ამ მეგობრობას.

ამ დღეებში, ზრდაში ზრდადის მასა-რის წინააღმდეგ ჩვენსაში მომხდარ არ-ჩვენების შესახებ. ეს წინააღმდეგ საინტერესო ცნობებს იძლევა კლდეზისა და მისი დასის შესახებ. ეს დასი არის ჩვენის ეროვნული სოციალისტების დასი.

უკანასკნელ არჩევნების დროს ეროვნულმა სოციალისტებმა ძალიან ბევრი კენჭი წაართვეს სოციალ-დემოკრატებს. ეროვნული სოციალისტები ეცდნენ, რომ თავიანთ მხარეზე გადაეხდნენ ბევრი და ხალხი. ამას მეტად ცდილობდა გაუთავაზო ჩარდნი ლისტა. ეროვნულ სოციალისტების მეთაურმა ვიანსლავ კლდეზმა თავი გამოაჩინა უკვე მე-90 წლებში ჩვენს სტუდენტების პროგრესიულ მოძრაობაში. შემდეგ კლდეზმა შევიდა ჩარდნი ლისტა-ის რედაქციაში და მეტად უკადრესს აზრებს გამოთქვამდა ამ კავშირში. მერე კლდეზმა დაარსა მუშების ეროვნული დასი. იმისი პროგრამა მეტად ვრცელი და შეუზღავდა: ეროვნული

შვილები თუ კიდევ ებადებოდნენ, ისევ დარბობდნენ. რაც უფრო მალა იწევთ ქონებრივად უზრუნველ ყოფილ კლასთა საფეხურებზე, დაბადებულთა რიცხვი უფრო მეტად განსაზღვრულია და უფროა მრავალი. მაგრამ ფრანგთა ცოლქმრების ამ თვისების მიზეზი ის კი არ არის, ვითომც ფიზიოლოგიურად ან გენიურად ამოწყვეტისა და გადაშენებისგან აღდგეს საფრანგეთის ერი, არა, მიზეზი ამისა წმინდა ფიზიოლოგიურია, ნებისთავი, სცილობენ განზრახ ჩამოშლულთა არ დასტოვონ.

წ ა მ ა ლ ა

აღნიშნავს რა ამ სამუშაო მოვლენას საფრანგეთის გადაშენებისა და მისი მიზეზებს, ბ-ნი პოლ მკითხველს უზიარებს თავის მოსაზრებას იმის შესახებ, თუ როგორ და რა გზით უნდა აიკლინონ ფრანგებმა ეს მომავალი, თუ როგორ უნდა დაიხსნან გაქირებაში ჩაყარნილი სამშობლო. პარტი-ცემულის სენატორის აზრით, ფონი აღვი-ლად გასასვლელია, თუ საზოგადოება დრო-ით შეუდგება საქმეს და ენერგიულად იმე-ცადინებს.

ყოველთა უწინარეს საქირა, რომ ყო-ველმა მოქალაქემ გაითვალისწინოს თავისი წმიდა მოვალეობა სამშობლოს წინაშე. ეს მოვალეობაა — ჩამოშლულთა დასტოვება და თავისი მამულს მოქალაქე შესძინოს. ვინც ცდილობს თავისი მოვალეობა აღასრულოს

რადიკალიზში, მდებარეობს ზანსაგაში, ან-ტისემიტიზმი და კარდელ-მეთოდის სწავლ-ნობები მოძრაობა.

ამ მოკლე დასურათებიდანაც კი სჩანს, თუ რა დიდი საზღვარი უფროა ეროვნულ სოცია-ლისტებს და სოციალ-დემოკრატებს შუა.

ახალი ამბავი

პეტერბურგიდან იტყობინებიან, რომ ბათუმის ოლქის ცალკე გუბერნიად გადა-კეთება გადაწყდა.

კარგა ხანია მას აქეთ, რომ ტფილის-ში შესდგა განსაკუთრებული კომიტეტი, ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებლის ბ-ნ ი. ნ. სეფინის თავ-მჯდომარეობით, ტფილისში სახალხო სა-ლის შენობის ასაგებ შემოწირულობათა შე-საგროვებლად; დღემდე კომიტეტს მიუღია სულ 12,000 მანეთამდე. რადგანაც ესეთი მცირე თანხა ამგვარ საშეილი-შეილო დიდს საქმეს ოდნავადაც სულს ვერ მოუზრუნებს, ამიტომ კომიტეტი სთხოვს ამ საქმის გულ-შემატივართ მიწოდონ შემოწირვისა და გვარი წვლილი. შემოწირულობა მი-იღება როგორც კომიტეტის წევრებთან, აგრეთვე ყველა ადგილობრივ რუსულ-ქარ-თულ-სომხურ გაზეთების რედაქციებში.

კვირას, 4 თებერვალს, „შრომის“ წევრთა საზოგადო კრებამ დაადგინა და-ვალობა თავის გამგეობას მოიწვიოს სამი კ-ცი და მათთან ერთად დაამზადოს საუკეთესო და საგანგებო ნივთები კავკასიის სამეურ-ნეო-სამრეწველო გამოყენისათვის.

სამხედრო-ისტორიულ განყოფილების უფროსმა პოეტმა სხხოვა ქალაქის თავს მიანდოს ვისმეს კავკასიის ქალაქების მართვა-გამგეობის ისტორიის შედგენა მომავალ სათბილო გამოცემისათვის. შემდგენელს მიეცემა 16 დაბეჭდილ გვერდში 50 მან. ქალაქის თავმა ეს საქმე მიანდო სტეფანე ქრელიშვილს.

გუბერნატორმა ნება დართო ქალა-ქის აფთიქის პატრონს ბ. ენიკოლოფოვს დააწესოს მორიგობა ექიმებისა დამლაშე-ობით პირველის დახმარების აღმოსაჩენად.

მიწად-მოქმედების დეპარტამენტს გან-ზრახვა აქვს მიმდინარე წელს მოაწყოს სამე-გრელოში და სოხუმის ოლქში ჩაის საცდელ-ლი პლანტაციები.

შაბადს, სახალხო კითხვათა სადგომ-ში, აქალის ქუჩაზე, გაიმართა ქართული სახალხო წარმოდგენა. წარმოდგენის გ-რის თავის პიესა „გაყრა.“ სცენის მოყვარულები

პირნათლად, ქებისა და დახმარება-წახალი-სების ღირსია. ხოლო ვისაც მართა თავის თავი-ლა ასხოვს, ვისაც თვინიერ პირადის კეთილდღეობისა არა სწამს რა, ის უნდა დაისაჯოს და ამ სასჯელით კაცმა მოაგო-ნოს მოვალეობის აღსრულება. მერგეს მხრით, რაკი საფრანგეთის მკვიდრი შვილი-ერებას უფრო ერთ შემთხვევაში უსახ-სრობისა გამო ერიდებიან, აუცილებლად საქირა შემოდებულ იქმნას ამ შემთხვევი-სათვის განსაკუთრებული გარდასახადი.

პირველ ყოვლისა, შემცირებულ უნდა იქმნას პირდაპირი სახელმწიფო გარდასახა-ლი. გარდასახადი უნდა შემცირდეს იმ მამებს, ვისაც სამ შვილზე მეტი ჰყავთ. ოთხის შვილის პატრონს 100 ფრანკზე 20 უნდა ებატოვოს, ხუთისას — 40, ექვსისას — 60, შვილისა და მეტის შვილის მამას — 80 ფრანკი. ეგვევ შედგათი უნდა მიენიჭოს იმ უცოლშვილოთაც, ვინც ისეთ ოჯახს ინახავს, სადაც სამზე მეტი ბავშვია. ასე-თი კანონი არსებობს გერმანიის მეორე ხა-რისხოვან სამთავროებში, სერბიას, შვეიც-იას, ნორვეგიას და შვეიცარიის უმეტეს კან-ტონებში.

მემკვიდრეობის ჩაბარებისათვის დაწესე-ბული გარდასახადი შემცირებულ უნდა იქმნას იმ ოჯახისათვის, სადაც სამ შვილზე მეტია. თუ ოჯახში 4 ბავშვია, ყოველ ას ფრანკ გადასახადზე 75 ფრანკი უნდა

კარგად მომზადებულიყვნენ და წარმოდგენამ ჩინებულად ჩაიარა. ხალხი, ჩვეულებრივად, დიდ-ძალი დაესწრო.

ჩვენ ამ მოკლე ხანში შეცდომით მოხსენებული გვექონდა, რომ ბ. რობინ 8 თებერვლამდე უნდა წარმოდგენოს ელე-ქტრონის ტრამვის პროექტი. ვადა გაუ-ვიდა ბ. რობინ 2 თებერვალს. ასე რომ ორ თებერვლიდან, თანხმად პირობისა, რომიმ უნდა იხადოს ყოველ დავიანებულ დღეში 20 მან.

ტფილისის გუბერნატორმა წინადა-დება მისცა ქალაქის თავს შეაჩეროს საბ-ქოს დადგენილება შესახებ სადრესო სტო-ლის და „მეგზოვთ“ ინსტიტუტის დაარსე-ბისა ტფილისში. ეს კითხვა მოკლე ხანში განიხილება ტფილისის გუბერნიის საქალა-ქო საქმეთა საკრებულოში.

კვირისათვის დანიშნული იყო ტრამვის ლიანდაგების ტენიკური დათვალიერება, რადგანაც ეს ლიანდაგები მეტად გლახა მდგომარეობაში არიან. რომიმ ითხოვა წინა-დღით, რომ დათვალიერება სამის დღით გადასდეს, რადგან ავად ვარო, მაგრამ კო-მისიის თავმჯდომარემ რობინს თხოვნა არ შეიწყნარა. სამაგიეროდ ბედმა ხელი მო-უწყო ბ. რობინს და კომისიის წევრები არ გამოცხადდნენ და ამიტომ ლიანდაგებიც არ დაუთვალიერებიათ.

ტფილისის გუბერნატორმა ნება მის-ცა ქალაქის თავს გასცეს იჯარით ალექ-სანდრეს ბაღის შუა ნაწილის ერთი კუთხე „გამაგრებელ“ სასმელთა პავილიონის გასამართავად.

შაბათისათვის დანიშნული იყო სხდო-მა იმ კომისიისა, რომელსაც მინდობილი აქვს ღარიბთათვის თავშესაფარის მოწყობა, ნ. ზ. ზუბალოვისაგან დატოვებული ფუ-ლების შემწეობით. ტენიკისის აგანჯანო-ვის პროექტის გარდა კიდევ ოთხი პროექ-ტი წარედგინა კომისიას და თუმცა ყოვე-ლივე მზად არის, მაგრამ, როგორცა სჩანს, კომინა თავს არ იღებს და არ ეშურება ამ საქმის დამთავრებას, რადგანაც არც ამ სხდომაზე დაესწრო საკმაო რიცხვი წევრთა.

მეთევზეობის გამგეობას კავკასიაში შემოდგომლობა აღუძრავს მიწად მოქმედების მინისტრს წინაშე მეთევზეთათვის გამსესე-ბელ კასის დაარსების შესახებ.

წინანდალის საუფლისწულო მამულში ეხლა ვარდი მიუშენებიათ 5 1/2 დესიატინა-ზე. როგორც სჩანს, ამ საქმეს კარგი მომა-ვალი მოვლის. შარშან დაუმზადებიათ სამი

ეპატოვოს, სადაც 5-ა — 50 ფრ., სადაც 6-ა — 25.

ბევრ შვილების პატრონთა წასაქმებლად მთავრობამ ყოველ-წლიური დახმარება უნდა აღმოუჩინოს იმ მამებს, ვისაც სამზე მეტი ჰყავს შვილი, სამის შემდეგ თითო ცოცხალ შვილზე 50 ფრანკი, ვიდრე მეშვიდე შვი-ლამდე.

საფრანგეთში 1891 წელს იყო:

975,676	ოჯახი პატრონი 4 შვილისა
572,285	„ „ „ 5 „ „
322,651	„ „ „ 6 „ „
251,658	„ „ „ 7 და მეტის შვილ.

ასე რომ იმ ოჯახთა დასახმარებლად შე-მდევი ხარჯი იქნება სჭირა:

48,783,800	ფრანკი
57,228,500	„ „
48,397,650	„ „
50,331,600	„ „

სულ 204,741,550 ფრანკი.

აქ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ეს დახ-მარება შეძლებულ ოჯახთათვის საქირა არც კი იქნება.

ახლა ვნახოთ, რამ უნდა დაჰფაროს ეს გასავალი.

უნდა მივმატოს მემკვიდრეობის გადმო-სვლის აქტს გადასახადი. უკვე არსებულის გადასახადის მომატება მით უფრო არ იქ-ნება საშიშო, რომ ეს ტვირთი დაწევბა

გირვანქა ვარდის ზეთი; გირვანქა გაუყიდ ნიათ 150 მანეთად.

3 თებერვალს მოხდა მე-2 გერმანიის სადგომში ტენიკური-საზოგადოებრივი წევრთა კრება, რომელზედაც, აირჩიეს მომავალ ჟურნალ „ინტენერნოე დელა“-ს, სარედს ქცეოთ კომისია. რედაქტორად არჩეულ იქმნა ბ. კარპოვიჩი.

კავკასიაში საბითალო ნაწილის გამ-გის თანაშემწე ბ. კრიდნერი გადაიყვანე რუსეთში და თანა მოსამსახურებმა გაუ-მართეს „ფანტაზო“-ში სადილი, რომელშიც ღამის 11 საათამდე გასტანა. სადილის დრო ბევრი სიტყვები იყო წარმოთქმული.

ხილისთავიდან (გურია) გვეწერენ: „ზრ-ველ თებერვალს აქ ერთი მეტად სამწუხა-რო ამბავი მოხდა. იესე კალანდამე მძიმედ დასტრა აქაური მედლეკი ალ. კალანდამე აი საქმე როგორ იყო: ალექსი კალანდამე იმყოფებოდა მ. კ-ძის ღუქანში და დახ-ლიდარს ელაპარაკებოდა. ღუქებ შემოვარდა ამავ სოფლის მცხოვრები იესე კალანდამე, იშიშვლა ხანჯალი და რაც ძალი და ღო-ნე ჰქონდა თავში შემოჰკრა. დაჭრილობა მორთო ყვირილი: „ვაიმე მომკლეს, მიშვე-ლეთო“. ამ ყვირილზე შეგროვდა ხალხი, მაგრამ იესე კალანდამე უკვე გაქცეულიყო. დაჭრილისათვის საჩქაროდ მოიყვანეს ექიმი ჩოხატაურიდან. ეს პირველი შემთხვევა არ არის, რომ შემოხსენებული რაინდი ამის-თანა საქმეს სწალიოდეს, მაგრამ აქამდე სო-ფელს ვერ მოუხერხებია მისი მოშორება. გამოძიება სწარმოებს.“

ერვისთან კონტრაბანდის აღმოჩე-ნისათვის კანონისამებრ მიეცა ერთ პოლი-ციელს — 1050 მ., მეოთხე ნაწილის ბოქა-ულის — 320 მ. და პოლიციის მოხელეს — 39 მ. სულ — 1409 მ.

როგორც შევითქვით, ბ. ბოიარსკი, ტფილისის ტრამვის „მოძრაობის“ უფრო-სი სამსახურიდან გამოსულა და მის ად-გილას დაუნიშნავთ კონტროლი ბ. ჯაბა-დარი.

ტფილისის პოლიციმისტერმა წინა-დადება მისცა პრისტავებს, რათა დაიკრიონ ყველა ტფილისის მათხოვრები. ამით ჯერ ციხეში დაამწყვდევნენ და შემდეგ გაგზავნიან თავ-თავიანთ სამშობლოში.

პოლიციის მე-5 ნაწილში, მოედანზე, ტფილისის მოქალაქის დარჩო გალუსტოვის ღუქანში აღმოაჩინეს გაფუჭებული თევზი 3 ფუთამდე. თევზი გადაყარეს და პატრონი გალუსტოვი პასუხის გებაში იქმნა მიცემუ-ლი.

მიდრებს, რომელთაც საზოგადოდ ერთი ან ორი შვილი ჰყავთ. აქედან შეიძლება სახელმწიფო ხაზინას წლიურად 20,000,000 ფრანკი მოემატოს.

მაგრამ ეს არა კმარა. უნდა დაედოს ბაგი სასულიერო წოდების პირთ, რომელ-თაც სარწმუნოებისაგან ოჯახის მოკიდება აკრძალული აქვთ და, მაშასადამე, მამულს ხალხს აკლებენ. ასეთ პირთა რიცხვი სა-ფრანგეთში 150,000-ია. უნდა დაედოს ბაგი აგრეთვე უცოლო ერის-კაცთა, მოხუც ცოლ-ქმართ, გაყრილ ცოლ-ქმართ და უშვი-ლო ოჯახებს.

1896 წელს მომხდარ აღწერიდან სჩანს, რომ საფრანგეთში ყოფილა:

უცოლონი 25 წელს ზევით	3,861,599
უშვილო ცოლ-ქმარი	1,808,838
გაყრილი, მოხუცი ქალი და	
კაცი-უშვილონი	300,000

სულ 5,970,437

უცოლო კაცზე ან უშვილო ოჯახის თავ-ზე 30 ფრანკი რომ დაწესდეს გადასახადი, ჯამი შეიქმნება 179,113,110 ფრანკი.

საქირა აგრეთვე ცოტა რამ სამხედრო რეფორმა. ამ რეფორმას აზრად უნდა ჰქონ-დეს მფარველობა იმ ოჯახებისა, სადაც ოთ-ხი და მეტი შვილი ჰყავთ. გარდა ამისა, შედგათი უნდა მიეცეთ ყველას, ვინც მოი-სურვებს საფრანგეთის ახალშენებში გადასხ-ლებას. ახალშენების დასახლება მით უფრო



სამ თებერვალს, რკინის გზის მესხეთის საფარველზე, მე-273 გვესხვა. რკინის გზის დასრულების რეალუბის აქრე განუზრახვით ბო-
როტ-განმზრახველი. რეალუბიდან ამოუტყრიათ
ლურსმნები და დაინდაგი მთუშელ მოუშლიათ, მაგ-
რამ ეს შეუნიშნავს გზის ეარაულს და დაშნაშ-
ვენი შეუნიშნათ, რომელნიც აღმოჩნდნენ რახიმ-
დასის-ასლან-ოღლი, სადის მესტაფა-ოღლი და
ისა მესა-ოღლი.

გუშინ, 5 თებერვალს, ამიერ კავკასიის რკინის
გზის ტფილისის სადგურზედ მატარებელმა უტაბელად
გადაურა უმთავრეს სახელოსნოს მუშას ზიხეს, რომ-
ელიც სასიკვდილოდ დაშავდა.

ბაქოს რკინის გზის სადგურზე, ნაშუადღევს
1-ლ სათზე და 30 სამზე ორთქლ-მავალმა № 188
გაქულიტა კაცი, რომლის ვინაობა არ იცინა.

სადგურ ბარაზე 4 თებერვალს, მე-3 კლასის
ზოლიდან დარაჯს უნდა გამოეყვანა მთვრალი კიტი,
რომელიც ჭირვეულადა და ძაღვობის დროს და-
რაჯს მარჯვენა ხელზე თითი მოაკენიტა.

პარასკევს, 2 თებერვალს, პოლიციის მე-10
ნაწილში სასტუმრო „ვერსალ“-ის ახლო უყვარდ
გარდაიცვალა ტფილისის მცხოვრები სტეფანე ვერ-
გევი 73 წლისა; გარდაცვალებულის გვამი მიხეილის
საავადმყოფოში იქმნა გაგზავნილი.

ტფილისის მოქალაქემ გრიგოლ პრესმანმა
4 თებერვალს პოლიციის მე-9 ნაწილში განაცხადა,
რომ მის სახლში 2 თებერვალს შეიპარა ვიღაც ბო-
როტ-განმზრახველი და მოპარა სხვა და სხვა ძვირ-
ფასი ნივთები 450 მანეთად ღირებული: მოპარულ
ნივთებ შორის არის ერთი პიჯაკი, რომლის ჯიბეში
ქონიდა ორი პოლისი № 66,355 და 66,356
პირველი 3000 მან., ხოლო მეორე 2000 მან. ღირე-
ბულია. ჭურღობაში ეჭვი მიიტანეს პრესმანის მო-
სამსახურე ქალზე სოფია მისიურინსაზე და მის
დაკარგულ უგორა მელქოზე, რომელიც უკვე შეპ-
რობილი იქმნენ და პასუხის გებაში იქმნენ მიცე-
მულნი. მისიურინის ქალი რამდენიმე დღე ყოფილა
ჭურღობამდე მოსამსახურედ პრესმანთან.

პოლიციის მე-3 ნაწილში, გუშინწინ, საღამოს
8 საათზე, ბარათინსკის ქუჩაზე, სიჩქარით მიმავალმა
ტლმა წააქცია სამეურნეო საზოგადოების მოსამსა-
ხურე ივოლიტე გრებენიუკოვი და დაშავა. დამნა-
შავე მეეტლეს პოლიცია დაექმეს.

კვირას, 4 თებერვალს, პოლიციის მე-2 ნა-
წილში მივიდა სასამართლოს ქუჩაზე მცხოვრები ენ.
ნინო ალექსანდრეს ასული მაყაშვილისა და განაც-
ხადა, რომ 1 თებერვალს მის ბინიდან ვიღაც ბო-
როტ-განმზრახველმა მოიპარა სამი წყვილი ტანისა-
მოსი, ხელის საკოვაიჩი, რომელშიც ფულად ყო-
ფილა 11 მან., „ბროშა“ და ბეჭედი 63 მან. ღი-
რებულია. ჭურდი აღმოჩნდა ტფილისის მოქალაქის
ქალი ფედოსია კონდრატიევი, რომელიც უკვე გა-
მოტყდა დანაშაულობაში. დამნაშავე პასუხს გებაში
იქმნა მიცემული.

აქირაა, რომ, როგორც სტატისტიკიდან
ჩანს, ახალშენებში მცხოვრებთ ყოველ 1,000
ჯოზე 30—36 სული ემატება, იმ დროს,
როცა თვით საფრანგეთში მომატებულია
იქცევი 1,000-ზე 23 ძლივასა. დასასრულ,
მავე აზრით, გადავიღებულ იქმნას აწ არსე-
ული რთული წესები ჯვარისწერისა და
სხვა ქვეყნელთა ნატურალიზაციისა.

აქამდე იმის ძიებაში ვიყავით, თუ რა
ზით უნდა შეგვეწყაო ხელი ბავშვების გა-
ნის საქმისათვის. ამ კითხვასთან აუცილებ-
ლად დაკავშირებულია მეორე კითხვა—ბავ-
შის მოვლა. ეს კითხვა კი უფრო რთულია
და მეტს ზრუნვასაც მოითხოვს, რადგან
ველამ იცის, თუ რა განსხვავებაა ბავშვის
ჩენის და მის მოვლა-აღზრდის შორის.
მოვლა კი საშინლად აკლიათ საფრანგეთის
ხალ დაბადებულთ, ამის მიზეზით ყოველ-
წლიურად დაბადებულთაგან მეექვსედი იხო-
ება. 150,000 ბავშვი ერთს წელიწადსაც
არ სიცოცხლობს. საფრანგეთში ისედაც
მეტა იბადება და მით უფრო საქირაა
მორჩინონ ეს ცოტა მაინც.

ამის წამლად ბ. პიოს მიაჩნია: ისეთის
მანის შემოღება, რომლის ძალით ქარ-
ებში მომუშავე ქალები თავისუფალ უნდა
ქმნას მუშაობისაგან ექვსის კვირით მოლო-
ნებამდე და ექვსის კვირითაც მოლოვინების
ამდე; 2) უნდა გამართულ იქმნეს შრომობრე-
ვითის თავშესაფარი, ექიმებიც უნდა იყოს

დღეშეთის მახრის, სოფელ გრას მცხოვრებს
ბესარიონ ჯანარაშვილს მოუპარავს 4 თებერვალს
ტფილისის მცხოვრებ ქერივის ალექსანდრა ბადა-
ვისათვის 18 მან. ღირებული ნივთი; ჯანარაშვილი
მოპარულ ნივთიანად შეიპყრეს და პასუხის გებაში
მისცეს.

პრესსა

უკანასკნელ №-ში „კვალი“ ეხება ქუ-
თაისის ამბებს და აცხადებს, რომ ბ. ლო-
ლუას დამარცხება „დიდად სამწუხარაოა“. ამგვარი
განცხადება „კვალისაგან“ გასაკვირ-
ველი არ არის: ეს გაზეთი ერთ დროს ძა-
ლიან გახარებული იყო კ. ჩიკვაძის გამარ-
ჯვებით და თვისი სოციალოგიური მოძ-
ღვრებაც კი მოიხმარა ჩიკვაძის დაცვა-გა-
მართლებისათვის; რალა საკვირველია, რომ
გაზეთს ეხლა ბ. ლოლუას დამარცხება
სწყენია? კ. ჩიკვაძე—ბანკში, ბ. ლოლუა
—ქალაქის გამგეობაში, ბ. კალატაზიშვი-
ლი—მარგანეცის მრეწველთა საბჭოში,—აი
„კვალის“ საზოგადო სიმპატიები საითკენ
არაინ მიმართულნი! ესეც ჩვენებური პრო-
გრესიული მიმართულებაა და აბა, რას
იზამ? „კვალის“ ამგვარ მიდრეკილებას
ჩვენ ყურს არ ვათხოვებდით, რადგანაც
ხშირად გამოუმჯღღენებია თავისი სრული
გაუგებრობა ჩვენის საზოგადო საქმეების
მსვლელობისა და ხშირად გამოსულა დამ-
ცველად მაგნე და საექვო ელემენტებისა,
მაგრამ გინდა აღენიშნოთ გაზეთის ჩვეუ-
ლებრივი ხრიკი, რომლისთვისაც არა ერ-
თხელ მიუშრთინია. გაზეთი სწერს, რომ
მოწინააღმდეგეთ გაუხარდათ ლოლუას
„დამარცხება“ და ამ სიხარულმა ერთ
ქართულ გაზეთშიაც იჩინა თავი. ეს ქარ-
თული გაზეთი, ალბად, „ცნობის ფურცე-
ლი“ უნდა იყოს, რადგანაც სხვა გაზეთს
არ გამოუთქვამს თავისი აზრი ბ. ლოლუას
პასუხის გებაში მიცემის შესახებ. „კვალი“
აქ ჩვეულებრივ „გმირობას“ სჩადის: ჩვენს
გაზეთს არც სიხარული და არც მწუხარება
არ გამოუთქვამს და „სიხარულის გამოც-
ხადება“ „კვალის“ შეთხზული ცილის წა-
მებაა. ჩვენ „ლოდ ფაქტი აღენიშნეთ
და ვთქვით, რომ ამგვარი დაბოლოება ბ.
ლოლუას საზოგადო მოღვაქეობისა მოსა-
ლოდნელი იყო.

არ შეგვიძლია აგრეთვე გვერდი აუხვიოთ
იმ ფაქტს, რომ „კვალი“ მწუხარებას აც-
ხადებს, რომ ქუთაისში დამნაშავესაც შე-
უძლია საზოგადო საქმეების სათავეში მოე-
ქცესო და პარტიულ ბრძოლაში გამარჯვე-
ბული გამოვიდესო. ეს მწუხარება საშარბო-

მათთვის დანიშნული და წამლებიც უსასყიდ-
ლოთვე ეძლეოდათ და 3) შექარბეთა
ქარბებს ახლო ცალკე სახლები უნდა ჰქონ-
დეთ, სადაც დედებს შეეძლებათ თავისი
შვილებს ძუძუ აწოვონ ხოლმე.

საქირაა ადვოკატიზმის წინააღმდეგაც
შემოღებულ იქმნენ საშუალებანი, რად-
გან ამ სენსაციით ხალხის გადაშენებას
არაფერი უწყობს ხელს. 1830 წლი-
დან 1896 წლამდე საფრანგეთში მაგარ
სასმელების ღუქების რიცხვი 280,000-დან
450,000-მდე ასულა. 85 მცხოვრებს, ანუ
25 სრულ წლოვანს თითო ღუქანი უწევს.
1830 წლიდან თითო მცხოვრები წლიუ-
რად ერთ ლიტრ ალკოგოლსა სვამდა,
ახლა, 1897 წელს კი, ერთის შავიერ 4
ლიტრსა ხარჯავს. საერთოთ აღიარებულია,
რომ ალკოგოლსავით არაფერი სიზარავს და-
მიანის სხეულს. ამიტომ საქირაა საფრან-
გეთში, სხვა სახელმწიფოთა მსგავსად, მაგარ
სასმელებით სავაქრო ღუქების რიცხვი შემ-
ცირდეს და მათის გახსნის ნება ისე აღვი-
ლად არ ეძლეოდეს ყველას.

როგორც ხედავს მკითხველი, პარტიუ-
მული სენატორი საფრანგეთის კეთილ-დღე-
ობის სურვილით-ლამ გამსჭვალული. მაგრამ
ამასთან ერთათ არ შეგვიძლია არ შევნი-
შნოთ, რომ მის მიერ დასახლებულ სა-
შუალებათა შორის ერთი საშუალება—უცო-
ლოთა დაბეგრა—თეორიულად თითქო შეე-

ლიანია, მაგრამ ქუთაისის ოპოზიცია აქ
რა შუაშია? ის კარგა ხანია ებრძოდა და
ებრძვის ჩიკვაძე-ლოლუას პარტიას და მო-
წადინებულია დამარცხოს „დამნაშავე“,
მაგრამ, თუ უკანასკნელნი მაინც სათავეში
უდგანან საზოგადო საქმეებს, ეს ოპოზი-
ციის ბრალი კი არ არის, არამედ იმათი,
ვინც პირდაპირ დახმარებას უწევდა ჩიკვა-
ძე-ლოლუას პარტიას, ან მათ დამცველად
და მათის მოწინააღმდეგეების დამგმობელად
გამოდიოდა გაზეთებში...

დუგბალთა ამხანაგობის „შრომის“ წიგნითა საზოგადო კრება.

კვირას, 4 თებერვალს, დილის 11^{1/2} სა-
ათზედ შესდგა მესამედ „შრომის“ წვერთა
საზოგადო კრება ბ. ანტონ ფურცელაძის
თავმჯდომარეობით. მდივად ამორჩეულ
იქმნა ბ-ნი ქურდიანი. როგორც წარსულ
კვირას, ამ კრებაზედაც შეუდგნენ იმ
საკითხის განხილვას, აქეთ თუ არა
წესდებით უფლება კენჭის ყრაში მო-
წაწილეობის მიღებისა იმ წვერებს, რო-
მელთაც სრული საწვერო ფული არ შე-
მოუტანიათ. საზოგადო კრების დავალებით
ეს უკითხავთ ორი მცოდნე პირისათვის,
რომელთაც უთქვამთ, რომ წესდებით ამის-
თანა წვერებს ნება არა აქეთ კენჭის ყრა-
ში მოწაწილეობა მიიღონო. კარგა ხნის
კამათის შემდეგ კრება იმ აზრს დაადგა,
რომ წესდებით ნება აქეთ მიიღონ მოწაწი-
ლეობა კენჭის ყრაში ყველა იმ წვერებმა,
რომელნიც ამხანაგობის დაარსებიდან მოწა-
წილეობას იღებდნენ ამხანაგობის სექციებში
იმისდა მიუხედავით—საწვერო ფული სრუ-
ლიად შემოტანილი აქეთ თუ არა. ამ გარ-
დაწყვეტილებას ეხლა ც წინააღმდეგენ გამ-
გეობის თავმჯდომარე ბ. ახნაზაროვი,
წვერი ბ. ტარუაშვილი და ქურდიანი,
რადგანაც, მათი შეხედულებით, ამითი წეს-
დება ირღვევაო. ზოგიერთა დამსწრე წვერ-
თა განცხადების თანახმად, კრებამ ხმის
უმეტესობით დაადგინა დავალოს ყველა
იმ წვერთ, რომელთაც სრულად არ აქეთ
შეტანილი საწვერო ფული, შეავსონ უსა-
თუოდ ამ წლის 1 ივნისამდე, წინააღმდეგ
შემთხვევაში ასეთ წვერებს წესდებისამებრ
ამხანაგობა სასტიკად მოეკიდება. ამის შემ-
დეგ კრებას წარედგინა დასამტკიცებლად
გამგეობის მიერ შედგენილი ამა 1901 წლის
ხარჯთ აღრიცხვა; ამ ხარჯთ-აღრიცხვით
გამგეობის ორ წვერს ჯამაგირად ექნება
თითოს 48 თუმანი წელიწადში; ბუჰალდ-
ტერს 240 მან. 5 ოსტატს დღიურად თი-
თოს 1 მ. 60 კაპ.; ქარხნის ქირა 570 მ.,

ლის დიდს საქმეს საფრანგეთში ხალხის გამ-
რავლებისას, მაგრამ ამ დაბეგვრამ დვრტვი-
ნვაც რომ არ დააწყებინოს დაბეგრილთა,
სარგებლობა მეტად მინიმალური მოჰყვება,
ამიტომ რომ ის უცოლო კაცი, რომელსაც
გადაწყვეტილი აქვს თავისი დღენი ფულად
მოსკამოს, 20 ფრანკს წლიურს გადასახადს
არ შეუშინდება. მეორე მხრით, საექვოა
50 ფრანკით დახარბოთ ხელ-მოკლე მამა,
რომელსაც, უსახსრობის შიშით, არ უნდა
სამზე მეტი შვილი ეყოლოს. 50 ფრანკი
წლიურად ერთ ბავშვს ვერ გამოუზრდის.

ბ-ნ პიოს მიერ აღნიშნულ უბედურე-
ბასთან საბრძოლველად აქაურის პრესის
მიერ, სხვათა შორის, ორი რამ კითხვა და-
სახელებული. ერთია—დედას, რომელსაც
უკანონო კავშირის შემდეგ „ცოლდის“ შვი-
ლი“ უჩნდება, კანონი და საზოგადოება
ლმობიერად მოეპყრას და საშუალებაც მი-
სცეს გაზარდოს თავისი შვილი. დღეს კა-
ნონი და საზოგადოება ორივე ერთად პირს
არიდებს ასეთის კავშირის ჩამომადლობას. დე-
დას საყვარლის მიერ მიტოვებულს და უმეტეს
შემთხვევაში უსახსროდ დარჩენილს საზო-
გადოება, გულშემატკივრობის მაგიერ, ულ-
მოხელად ექცევა, კეთროვანსავით უცქე-
რის, თავის წრეში არ ატარებს და ხშირად
ცხოვრების ყოველ სახსარს უსაობს. ამას-
თანვე დედამ იცის, რომ მისი უკანონო
შვილი უკანონოდვე დარჩება მთელს სი-

განათება და წყალი 50 მან. საკანცელარიო
წერიშალი ხარჯი 20 მან. ცალკეი დანაშ-
ხადება 30 მან., იარაღები და სურათი 200
მან. და სხვა სულ მატლო წელიწად
გადაღებულია 5598 მანეთი. კრებამ დაადგი-
ნა ბუჰალტერის დაუნიშნოს წელიწადში
150 მან; ხოლო ოსტატებს ეძლეოდეს ქი-
რა დღეში 2 მანეთამდე, როგორც ამას
გამგეობა საჭიროდ დაინახავს. ხარჯთ-აღ-
რიცხვიდან გამორიცხულ იქმნა აგრეთვე
დამხმარებისათვის ნავარაუდები ჯამაგირი (576
მანეთი წელიწადში). ამ ცვლილებით კრე-
ბამ დამტკიცა ხარჯთ-აღრიცხვა. ლაპარაკი
გამოიწვია აგრეთვე საკითხმა ამხანაგობის
ქარხანაში სამუშაო დროს დანიშვნის შესა-
ხებ. ზოგიერთი წვერები ამბობდნენ, რომ
11 საათი დავნიშნოთ სამუშაოდო, როგორც
ეს სხვა ქარხნებშიაო, მაგრამ კრებამ ხმის
უმეტესობით დაადგინა—დაინიშნოს ქარხა-
ნაში სამუშაო დროდ დღეში 10 საათი. კა-
მათი გამოიწვია აგრეთვე საკითხმა, თუ რა
უკონ წარსულის წლის წმინდა მონაგებს
ფულს—480 მანეთს. კრებამ თითქმის ერთ-
ხმად გადასწყვიტა გადასდოს ეს ფული სა-
თადარიგო თანხისთვის. ამასთანვე გამგეო-
ბის ორმა წვერმა უარი სთქვა 15^{0/0} დივი-
დენდის მიღებაზედ. თანახმად ტარუაშვილის
წინადადებისა, კრებამ დაადგინა დავალოს
ამხანაგობის გამგეობას მოიწვიოს სამი კაცი ღ
მათთან ერთად იზრუნოს მომავალ გამოფე-
ნისათვის ექსპონატების დასამზადებლად ამ-
ხანაგობის სახელის მოპოვებისათვის. ამის
შემდეგ კრებამ ამოიჩნია გამგეობის სამი
წვერი კანდიდატებითურთ და სარევიზო
კომისიის წვერები, რაიც უკვე აღნიშნული
გვქონდა.

კრების დასასრულს გამგეობის თავმჯდო-
მარემ ბ-ნმა ა. ფურცელაძემ მიჰმართა წვე-
რებს სიტყვით, რომელშიაც მან აღნიშნა,
თუ რა მნიშვნელობა აქვს ამისთანა საქმე-
ში შეერთებულ შრომას.

კრებამ მადლობა გამოუცხადა როგორც
თავმჯდომარეს ბ-ნ ფურცელაძეს, აგრეთვე
გამგეობის ძველ წვერებსაც. კრება ნაშუად-
ღევს 4 საათზედ დასრულდა.

პროვინცია

ბათუმი, თებერვლის 3. გუშინდელი დღე
საუფრადგებო იყო ბათუმისათვის.

დუიწყოთ იქიდან, რომ ბათუმში ჰირველად
იყო გამართული სხადხო წარმადგენა რუსულ
ენაზედ. ქართულ და სომხურ ენებზე ამგვარი
წარმადგენები არა ერთხელ ყოფილა და მუდამ
აუარებელი ხადხი მიუზიანია. რუსულ ენაზე

ცოცხლში. ასე რომ ცალკე სირცხილი,
ცალკე უსახსრობა და ცალკე—შვილის მო-
მავლი—„უკანონობა“ საცოდავს უმწვეო
არსებას აიძულებს მუცელი გაიფუქოს ან
და თუ ცოცხალი შვილი ეყოლა, მაშინა
თვე გულიდან მოიგლიჯოს. შედეგი—უღ-
როვოდ სიკვდილი მომავალის მოქალაქისა.
ვინ იცის ამნარად რამდენი მცხოვრები
აქლდება საფრანგეთს! ამიტომ საქირაა
ეს ავადმყოფი მხარე თანამედროვე საზო-
გადოებისა ასე თუ ისე განკურნებულ იქ-
მნას.

მეორე საშუალებაა—ხალხი სოფლად და-
იქირონ, მიწას არ მოსწყვიტონ. ამისათვის
საქირაა დიდის მამულების შეძენა და მისი
შემუშავება კოლექტიურად. ამ მამულში
მუშას რეგულიარულად უნდა ეძლეოდეს
ქირა, თან, თუ დაცოლიანდება, საკუთრება
მიეცეს და ამ საკუთრებას იმდენჯერ მიემა-
ტოს, რამდენი შვილიც ეყოლება. მხოლოდ
ამ გზით შეიძლება მუშა და სულითა და
ხორკით მრთელი ელემენტი ფრანგთა ხალ-
ხისა სოფელს არ მოჰშორდეს, შთამომავ-
ლობა გაამრავლოს და თან თავი აარიდოს
ქალაქის გახრწნილ ჰაერსა, ზნეობას და
საზოგადოდ შთამომავლობის მოსპობისათ-
ვის ხელის შემწყობ პირობებს. ეს საშუა-
ლება იმდენს ხარჯსაც არ მოითხოვს და
პრაქტიკულადც ადვილი ასასრულებელია.
თ. სასოკია

სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. სმბ.—ბის, ვახტის დიდი ქუჩა, № 27.